პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 68 (14064) | პარასკევი, 22 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს მოხდა გუშინ

ჩარხმშენებელთა ნარმატება

თბილისის სახელი ჩარხების ქარხანა ჩვენს ქვეყანაში ცნობილია თავისი უზუსტესი ჩარხებით. აქაურ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, მათ შორის ისეთ ჩარხებზე, როგორიც არის უმაღლესი ხარისხის უნივერსალური სახეხი და მრგვალსახეხი ზეუმაღლესი სიზუსტის ჩარხები. მაგალითად, ახლად ათვისებულ „ბ-ბ-110“ ტიპის ჩარხი მეოთხემეტე-მეთორმეტე კლასის სისუფთავით დამუშავების საშუალებას იძლევა, რაც საწარმოს კოლექტივის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ქარხანა თავის სერიულ პროდუქციას — ბ-ბ-110“ მოდელის უნივერსალურ სახეხ ჩარხებს — მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში გზავნის, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, სადაც ჩარხმშენებლობა მეტად მაღალ დონეზეა. ეს თბილისელ ჩარხმშენებლებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

გუშინ, 21 მარტს, ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმა და სახელმწიფოს 62 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

თ. კინწურაშვილი.

752 მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი

რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი უმსხვილესი და მოწინავე საწარმოს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ წარმოებებმა, რომლებიც რიტმულად მუშაობენ და

ᲙᲣᲗᲜᲚᲘᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

გადაჭარბებით ანგარიშობენ კონკურსის დავალებებს, გუშინ პროდუქციის გამოშვების დღიური გეგმა ფულადი გამოსახულებით 111,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით დაჯილდოებულია 656 კილოგრამი ნართი და 752 მეტრი შალის ხამი ქსოვილი.

გუშინ შრომაში თავი გამოიჩინა ხაქსოვმა წარმოებამ და, კერძოდ, კომუნისტური შრომის იმ ბრიგადამ, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის თანამოელი პ. პობრასპა თავეკაცობს.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ცხინვალი. (საკ. კორ.). სასახელოდ შრომობს მექანიკური ქარხანა. იგი ამზადებს სეიფებს, რკინის კარადებს, ამწეებიან კაბინებს და სხვა პროდუქციას, რომელთა ნაწილი სოციალისტურ ქვეყნებშიც იგზავნება. საწარმოს კოლექტივმა წარმატებით დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წელი. მან 25 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ორი თვის დავალება და მარტშიც დაუღალავად შრომობს.

განსაკუთრებით კარგად იმუშავა ამწის კაბინებისა და სამართავი კარადების დამამზადებელმა ბრიგადამ, რომელსაც მოწინავე მუშა გ. ცხოვრებოვი ხელმძღვანელობს. იანვარში ამ ბრიგადამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 4 ცალი ამწის კაბინა, რომლებიც „კუბის სახალხო რესპუბლიკაში გაიგზავნა, თებერვალში „კი — სამი ზეგეგმითი ამწე კაბინა.

ᲑᲣᲗᲜᲚᲔᲚᲘᲡ მესამე წლის ვადამდე შესრულებისათვის იბრძვის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც თებერვლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ათასობით მეტრი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი მისცა სამშობლოს. შრომაში დაწინაურდა მესამე საქსოვი საამქრო, რომლის მქსოველებმა 22 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი მისცეს კომბინატს.

კომბინატის კომუნისტური შრომის დამკვრელთაგან ერთ-ერთი მოწინავეა ე. ლომთათიძე, რომელიც მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს და ყოველთვიურ დავალებას 130 პროცენტით ასრულებს. სურათზე: მოწინავე მქსოველი ე. ლომთათიძე.

ფოტო გ. გოგობიასი.

სკოლა და პატრიოტიზმი

სამშობლოს სიყვარული უძლიერესი გრძნობაა ადამიანში. იგი დედის სიყვარულთან ერთად ექსოვება სულსა და გულს, ღრმად და ვრცლად იდგამს ფესვს მთელ არსებაში და სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი ხდება. ასეთია ყოველი მოზრდილი ადამიანის შეგნება, რწმენა, სწორედ ამ შეგნებით, ამ რწმენითა და გრძნობით მიდის იგი, საგიროების შემთხვევაში, სამშობლოს სამსხვერპლოზე. ეს გრძნობა ამოქმედდებს მას ყველა კეთილ საქმეში. სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული სულისკვეთება გამომუშავებულ, აღზრდილ გრძნობას წარმოადგენს. მას ჩვენში პატარაობიდანვე აღვივებდა, ნერგავდა გარესამყარო, გარემო წრე, ზრდიდა ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, განმტკიცებდა ცხოვრება.

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ისტორია მისდამი მილიონთა გაუზომელი სიყვარულის, ერთგულების, თავდადების ისტორიაც არის. სამოქალაქო ომის, აღდგენითი პერიოდის, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლები იყო გამოვლინება ახალი, სოციალისტური სამშობლოსადმი მის მშენებელ ადამიანთა განუზომელი სიყვარულისა, პატრიოტიზმისა. ამ გრძნობამ მკვეთრი გამოვლინება ჰპოვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, და ეს პატრიოტიზმი მასობრივი გმირობის ოქროს ვარაყით შემკობილი გადაეცა ისტორიას.

ახლა, კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა იდეური სიმწიფისა და პოლიტიკური შეგნებულობის ზრდასთან ერთად, სულ ფართოდ ვლინდება საბჭოთა სოციალისტური პატრიოტიზმის ცოცხალი შემოქმედებითი ძალა. იგი ნათელ გამოხატულებას პოულობს მილიონთა ყოველდღიურ საქმეებში — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შეჯიბრებაში ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მასობრივ მოძრაობაში, მეცნიერთა აღმოჩენებში, კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითს წარმატებებში, არმიისა და ფლოტის მეომართა წარჩინებულ სამსახურში...

საბჭოთა ხალხის ამ დიდი, შემმართებელი პატრიოტული ლაშქრობის ნათელ სურათს ვერ მიიღებთ, თუ არ ვილაპარაკეთ მის საყვარელ პირმშოზე, მის გაზაფხულზე — ნორჩ თაობაზე, რას აკეთებს ნორჩი თაობა, მხარს თუ უბამს იგი თავისი მშრომელი ხალხის ძლევამოსილ წინსვლას დიდებული მერმისისაკენ?

ამ კითხვაზე ჩვენმა სკოლამ უნდა გვიპასუხოს. სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა! — ამ დევიზით სუნთქავს ახალ საბჭოთა სკოლა, რომელმაც სამშობლოს უნდა აღუზარდოს ყოველმხრივ განვითარებული, დამოუკიდებელი შრომისათვის მომზადებული თაობა კომუნიზმის მომავალი მშენებლებისა.

სკოლის მთელ საქმიანობას წითელ ზოლად გასდევს მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის ზრუნვა.

ისევე როგორც მეომარს მშვიდობის სადარაჯოზე, მუშას — დაზგასთან, კოლმეურნეს — ყანაში, მეცნიერს — ლაბორატორიაში, — მოსწავლესაც მართებს საქმით დაამტკიცოს სამშობლოსადმი თავისი სიყვარული —იყოს ზრდილი, თავაზიანი, ბეჯითი, უყვარდეს თავისი ოჯახი, ენა, უბანი, ქალაქი, სწავლობდეს ოთხებსა და ხუთებზე, გაბედულად უყურებდეს მომავალს და იყოს სულ იმის ცდაში, რომ დაეუფლოს ცოდნას, გახდეს სამშობლოს ღირსეული პატრიოტი.

ამიტომაც არის სკოლა პარტიისა და მთავრობის, ხალხის შეუნელებელი ზრუნვით გარემოსილი. სკოლა მომავლის მჭედელია, მის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ხვალინდელი დღე, მშრომელთა ახალი თაობის მოქალაქეობრივი სახე, კულტურა, მორალური და ესთეტიკური განვითარება.

სასკოლო მუშაობის მთელ კომპლექსში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდას. ეს კი საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნასთან, სასკოლო კურსის საფუძვლიანად შეთვისებასთან ერთად საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, სახბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე მოსწავლეთა აღზრდასაც გულისხმობს.

სწორედ საბჭოთა სკოლის აღზრდილი მილიონობით ადამიანი თავდადებით იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და უმაგალითო გმირობით სახელს უხვევდა თავის სოციალისტურ სამშობლოს. არაერთი გმირი მისცეს ხალხს ჩვენი რესპუბლიკის სკოლებმა. საამაყოა იმის შეგნება, რომ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ახალ აგებულ გემს, რომელიც ჩაუშვეს ბალტიის ზღვაში, კალინინგრადის ახლოს, დიდ სამამულო ომში ამ ქალაქისათვის მებრძოლი ქართველი გმირი ჭაბუკის, ომში გმირულად დაღუპულის, თბილისის ერთ-ერთი სკოლის აღზრდილის შოთა გამცემლიძის სახელი მიეკუთვნა.

მოსწავლეთა ჰეროიკულ-პატრიოტული აღზრდის საკითხები მუდამ წინაპლანზე აქვთ დაყენებული საქართველოს სკოლებს. ზნეობრივი რწმენის ჩამოყალიბება მოსწავლეებში; მოსწავლეთა აღზრდა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის საფუძველზე; მეგობრობისა და ამხანაგობის, გულმართლობისა და პატიოსნების აღზრდა მოსწავლეებში და ა. შ. ჩვენი სკოლის სახელოვნო-საამქროდ ელო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

აღზრდის მთელ არსენალში მეტად მაღალეფექტურ ღონისძიებებს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის: ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე. ამ საქმეში გამოყენებულია ვ. ი. ლენინის კუთხეები და მუზეუმები სკოლებში, პიონერული და კომკავშირული მუშაობის საინტერესო ფორმები და მეთოდები.

აღზრდის ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს ეძღვნება რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია, რომელსაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საქართველოს სსრ პედაგოგიური ხაზოგადოება აწყობენ. კონფერენცია, რომელიც სკოლების საგაზაფხულო არდადეგებს ემთხვევა, მოისმენს მრავალი ათეული მასწავლებლის მოხსენებას სწავლა-აღზრდის საკითხებზე, და პედაგოგიურ-მეცნიერული თვალსაზრისით გაუკეთებს მათ ანალიზს.

მოსწავლეთა პატრიოტულ და ჰეროიკულ აღზრდას ემსახურება მრავალი საინტერესო ღონისძიება, რომლებსაც საქართველოს კომკავშირი, განათლების ორგანოები, პიონერთა და მოსწავლეთა სახახლე, სკოლები ახორციელებენ.

მოსწავლეთა დიდ ინტერესს იწვევს ლაშქრობა-ოპერაცია „არწივთა მწვერვალი — 50-25“, რომელიც ეძღვნება საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და კომკავშირის 50 წლისთავს, ავრეთვე კავკასიასთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების 25 წლისთავს. ლაშქრობა-ოპერაცია 15 ივნისამდე გასტანს. ამ საინტერესო სამხედრო-სპორტულ თამაშს, რომელშიც ნორჩი არმიელებისაგან შემდგარი „ცისკრის“ ბატალიონები მონაწილეობენ, საერთო ხელმძღვანელობას უწევს „ცისკრის“ რესპუბლიკური შტაბის უფროსი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის პირველი მოადგილე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი დ. დრაგუნსკი.

ამ თამაშის მონაწილე ბავშვები — ნორჩი არმიელები სწავლობენ, როგორც ამას პროგრამა ითვალისწინებს, კომკავშირის შექმნის ისტორიას, კომკავშირელთა მონაწილეობას სამოქალაქო ომსა და დიდ სამამულო ომში, „ოფოგზაურებენ“ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, შეხვდებიან ახალგაზრდა მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მათს საქმიანობასა და მოღვაწეობას მიუძღვნიან ალბომებს, სტენდებს; ეწყობა ექსკურსიები პაპათა საბრძოლო დიდების მარშრუტით. 25 მარტიდან, არდადეგების პერიოდში, სამასამდე მოსწავლე — წითელი კვალმაძიებელი ოფოგზაურებს, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, მარშრუტით თბილისი-სოხუმი-კიევი-ვოლგოგრადი-თბილისი.

დიდია, ფართოა მოსწავლეთა ჰეროიკულ-პატრიოტული აღზრდის არსენალში არსებული საშუალებებისა და ფორმების არე. მას, ცხადია, გონივრულად, საზრიანად უნდა გამოიყენება.

პიონერებსა და მოსწავლეებს შორის საჭიროა გაძლიერდეს სპორტული და თავდაცვითი მასობრივი მუშაობა, სიხტემატურად ეწყობოდეს გასაბჭდროდ მუშაობა და ლაშქრობები. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა განუყოფელია მათი ინტერნაციონალური აღზრდისაგან.

პატრიოტიზმის აღზრდა ჩვენი სკოლის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია.

საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების IV ყრილობა

21 მარტს თბილისის მასწავლებლის სახლში გაიმართა საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების IV ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდა 400 დელეგატი — საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯანრეხილებლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივების წარმომადგენლები. ყრილობის სამაგალითო სტუმართა შორის იყვნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლნი, თვალსაჩინო მეცნიერები.

ყრილობა გახსნა საზოგადოების ვიცეზრეზიდენტმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, დოცენტმა **გ. ფოფხაძემ.**

საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სანგარიშო მოხსენება გააკეთა საზოგადოების პრეზიდენტმა, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **დ. ლორთქიფანიძემ.**

საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სარევიზიო კომისიის მუშაობაზე ილაპარაკა მისმა თავმჯდომარემ **გ. საყვარელიძემ.**

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარე **გ. ბაბილოძე,** საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე **ა. სოფია,** სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარე **ა. ჯიოევა,** თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი **ს. ხუციშვილი,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი** და სხვანი.

ყრილობამ აირჩია საქართველოს სსრ პედაგოგთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმმა საზოგადოების პრეზიდენტად კვლავ აირჩია სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დ. ლორთქიფანიძე.** ვიცეპრეზიდენტებად არჩეული არიან **გ. ფოფხაძე** და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის გამგე **მ. ბურჭულაძე.** (საქდესი).

გუშინ ბაკურიანში

მაღალი მოწოდება

ბაკურიანი, 21 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). უკვე მესამე დღეა ბაკურიანის თვალწარმტაცი ხეობაში ახალგაზრდა მეცნიერები ბუმბენ, კამათობენ, საუბრობენ. ამ შესვენდრის მიზანია დაჩქარონ ქართული მეცნიერების პროგრესი, მიაღწიონ ახალ წარმატებებს ცოდნის ყველა დარგის განვითარებაში, დაეხმარონ ახალგაზრდებს განსაზღვრონ თავიანთი როლი და ადგილი ამ ამოცანების გადაჭრაში.

21 მარტი ახალგაზრდა მეცნიერთა პირველ რესპუბლიკურ სემინარზე სოციოლოგიისა და კიბერნეტიკის დღე იყო. მოხსენება „ზოგადი და კონკრეტული სოციოლოგიის თანაფარდობა და თანამედროვე ცხოვრება“ გააკეთა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ქვაჩახილამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი ა. ალექსიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ცინცაძე, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი რ. ბორდზუნიანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ლეშავა, საქართველოს აკადემიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. ბ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ონიანი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი თ. ნათიშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ბოგუშაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. პოლშინი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბაბისანი, ფიზიკოსი ა. ბერასიმოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტი შ. ბერაძე.

სემინარის საღამოს სხდომაზე მოისმინეს და განიხილეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ჰაკვანიძის მოხსენება „კიბერნეტიკა და თანამედროვე საზოგადოება“.

სემინარი განაგრძობს მუშაობას.

დიდი რევოლუციონერის პატივსაცემად

საიუბილეო სესია მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ.). გუშინ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და პარტიის მახარაძის რაიკომმა აქ მოაწყეს გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის ფილიპე მახარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. თოიძემ,** მოხსენება „ფილიპე მახარაძის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა“ წაიკითხა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა **ი. მირცხულავამ.** მოხსენება „ფილიპე მახარაძე როგორც პუბლიცისტი“ გააკეთა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **გ. ჯანგველაძემ,** „ფილიპე მახარაძე ოზურგეთში“ — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **გ. ხოხლენკომ.**

საიუბილეო სესიაზე მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები **ი. დოლიძე, დ. ლომაძე** და მწერალი **ხ. წვერავა.**

სესიის მონაწილეებმა დაათვალიერეს ფილიპე მახარაძის სახლ-მუზეუმი სოფელ შემოქმედში.

რაოდენობაც, ხარისხიც

ჭიათურა. (საკ. კორ.). ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის ახალი ითხვისის მაღაროს მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი.

გამამდიდრებლებმა ყოველდღიურად 4.655 ტონა ნედლეული უნდა მიიღონ და გადაამუშაონ. მარშანდილთან შედარებით ნედლეულში მარგანეცის შემცველობა მეტია. ამან საფრთხე შეუქმნა პირველი ხარისხის კონცენტრატის გამოშვების გეგმის შესრულებას. საჭირო გახდა მაღნის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება.

მართლაც, ძველი კონსტრუქციის ორგანყოფილებიანი მაღალი სიხშირის სალექი მანქანები შეიცვალა ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის სამგანყოფილებიანი მანქანებით, რითაც ყოველდღიურად 25 ტონით გაიზარდა მაღალი ხარისხის მადნის გამოშვება. ინჟინერ ი. კაკაბაძის წინადადებით ფაბრიკაში დაიდგა სამმილიმეტრიანი ცხრილები, რითაც სამჯერ გახანგრძლივდა ცხრილების გამოყენების დრო, შემცირდა მოცდენები, გაიზარდა მაღალი ხარისხის კონცენტრატის გამოშვება, გაიაფდა პროდუქციის თვითღირებულება.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის იანვარ-თებერვლის დავალება. გეგმის ზეგით უკამზადა 1.232 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

მეჩაიეები კლანტაციებში

საიუბილეო წელს შესანიშნავად იშრომეს ცხაკაიას რაიონის მეჩაიეებმა, ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა 119,4 პროცენტით შეასრულეს. მიღწეული ეფექტი როდი ემაყოფილდებინა. ისინი დროულად გამოუხმაურნენ ჭორის რაიონის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას. მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მესამე წელს სახელმწიფოს ჩაბარეთ სულ მცირე 5.000 ტონა „მწვანე ოქრო“.

ჩაის ფოთლის ბარაქიან მოსავალს ახლა ეურება საფუძველი. ზამთრის ხელსაყრელი ამინდები ცხაკაიელმა მეჩაიეებმა მაქსიმალურად გამოიყენეს, პლანტაციებში სამუშაოები ხარისხიანად აწარმოეს. მსუბუქი გამობარვა სასუქების შეტანით 1.575 ჰექტარზე ჩატარდა. მიმდინარეობს აგრეთვე სადრენაჟო თხრილების ამოწმენდა და მეჩხერი პლანტაციების შეტანილ, ბუჩქების გასხვლა-ფორმირება. ეს სამუშაო 996 ჰექტარზეა შესრულებული.

ჩაის პლანტაციებში სამუშაოები აგრონომიის დაცვით მიმდინარეობს ეფის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლ. ყურაშვილი). აქ უკვე გამობარეს 110 ჰექტარი პლანტაცია. მიჩხერილი პლანტაციების გამობარვა სასუქების შეტანით, აგრეთვე გასხვლა დაამთავრეს პირველ ბრიგადაში, რომელსაც ხელმძღვანელობს. სამუშაოებში დაწინაურდნენ მეოთხე და მესამე ბრიგადები. კოლმეურნე ელენე ცხვარავამ 0,6 ჰექტარი პლანტაცია სანმეშოდ დამუშავა. ეფექტიანად შრომობ სახელი გაითქვეს ლ. ტალახაძემ, ნ. და ც. ფხაკაძეებმა, ა. ქარიბაიამ, ლ. ადამიამ, თ. შუბლაძემ.

ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ (თავმჯდომარე ა. გვასალია) შრომობენ აღმავლობის დღეებია. ხორშელები წელს 750 ტონა ჩაის ფოთლისათვის იბრძვიან. ეს კი საგვიმო დავალებას 150 ტონით აღემატება. ვალდებულების გასანღდებლად ეარგა ხანი დაიწყეს მზადება, სანამეშოდ ამუშავებენ პლანტაციებს. ზამთრის სამუშაოები უკვე 161 ჰექტარზე აწარმოეს. შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებებს წარმატებულად ასრულებენ პირველი (ხელმძღვანელი ვ. ჭითავა), მეორე (ხელმძღვანელი ნ. პარკაია), მესამე (ხელმძღვანელი ბ. გუგუნავა), მეექვსე (ხელმძღვანელი ა. თუნცია) ბრიგადები. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს კოლმეურნეებმა გ. ტბეგენავამ, შ. მიგრინეშვილმა, ნ. ჭითავამ, ვ. სანაიამ, ნ. ნინოსამ, ა. ბუკეიამ, ვ. ამაკოვრიამ, ნ. ბაბიამ და სხვებმა.

ჩაის პლანტაციებში სამუშაოები აგრონომიის მოთხოვნათა დაცვით ეწყობა ფოცხოს, ბანის, ნაკალაქევის კოლმეურნეობებში და ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობაში.

ს. კუჭავა.

შეხვედრა ავროდრომზე

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში

21 მარტს თბილისში ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი **კურტ ვალდჰაიმი.** მასთან ერთად ჩამოვიდნენ ავსტრიის ელჩი საბჭოთა კავშირში **ვალტერ ვოდაკი,** ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე **ერნსტ პესენბერგერი** და სხვა ოფიციალური პირები, ავრეთვე ავსტრიელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

ავსტრიელ სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ელჩი ავსტრიაში **ბ. პოდცერობი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე **თ. მოლოჩკოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგის მოადგილე **გ. გორინოვიჩი.**

ავსტრიის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე დოქტორ კურტ ვალდჰაიმს დახვდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. გიგოშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრები **გ. ჯიბლაძე, ა. ჭინარაძე,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **დ. მჭედლიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე **მ. ლომიძე,** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

დარგაზობა გ. ძოწენიძესთან

ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი კურტ ვალდჰაიმი 21 მარტს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **გ. ძოწენიძეს.**

გ. ძოწენიძე მიესალმა სტუმარს და თქვა, რომ საქართველოში ახლოვან ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის იოზეფ კლაუსის ვიზიტი. მოხარული ვართ, თქვა მან, რომ თქვენ, ბატონო მინისტრო, მოისურვეთ საქართველოში ჩამოსვლა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ავსტრიის მინისტრს გააცნო საქართველოს ცხოვრება, მისი ინდუსტრიული განვითარება, ესაუბრა სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შესახებ.

დოქტორმა კურტ ვალდჰაიმმა თქვა, რომ მან საქართველოში მხოლოდ რამდენიმე საათი გაატარა, მაგრამ უკვე შეექმნა შთაბეჭდილება იმ დიდი პროგრესის შესახებ, რომელიც საქართველომ მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. მახარებს, განაცხადა მინისტრმა, რომ მეგობრულად შემხვდით საქართველოში. ფედერალური კანცლერი იოზეფ კლაუსი, რომელიც ერთი წლის წინათ იყო საქართველოში, სიამოვნებით იგონებს აქ გაწეულ გულითად მიღებას.

გ. ძოწენიძემ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **გ. ჯავახიშვილის** სახელით, თავისი სახელით, ქართველი ხალხის სახელით სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს დოქტორ იოზეფ კლაუსსა და მთელ ავსტრიელ ხალხს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ ავსტრიასთან დამყარებულ მეგობრულ ურთიერთობას.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირადი კონტაქტების დამყარებას, ვიზიტებს. ისინი ხალხებს ეხმარებიან უფრო უკეთ გაეცნონ ერთმანეთს, ხელს უწყობენ ურთიერთგაგებასა და მეგობრობის განმტკიცებას. განაცხადა **დოქტორმა კურტ ვალდჰაიმმა.**

საუბარს საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. გიგოშვილი,** საბჭოთა კავშირის ელჩი ავსტრიაში **ბ. პოდცერობი,** საქართველოს სსრ მინისტრები **გ. ჯიბლაძე, ა. ჭინარაძე.** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კპაჭაძე,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე **თ. მოლოჩკოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგის მოადგილე **გ. გორინოვიჩი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი **მ. ჭინჭინაძე.**

ავსტრიის მხრივ საუბარს დაესწრნენ: ავსტრიის ელჩი საბჭოთა კავშირში **ვალტერ ვოდაკი,** ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს **ჯანყოფილების გამგე ერნსტ პესენბერგერი.**

მინისტრების საუბარი

ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი **კურტ ვალდჰაიმი,** რომელიც თბილისში ჩამოვიდა, 21 მარტს ეწვია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს **ა. გიგოშვილს.**

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დოქტორმა **კურტ ვალდჰაიმმა** მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის. საბჭ

პირველადი ორგანიზაცია და რაიკომი

ვარტიის XXIII ყრილობამ მკვეთრად გაუსვა ხაზი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების აუცილებლობას. ჩვენც მიზნად ვისახავთ მივაღწიოთ ამას, რომ ყველა პირველადი ორგანიზაცია იყოს ბრძოლისუნარიანი და მასების ნამდვილი ორგანიზატორი.

ამჟამად რაიონში 70-მდე პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. თვითეული პირველადს პარტორგანიზაციას აქვს თავისი თავისებურება, რომელიც დაკავშირებულია მისი სამოქმედო უბნის სპეციფიკასთან; სწორედ ამას ვითვალისწინებთ მათდამი ხელმძღვანელობაში.

პარტიის რაიონული კომიტეტი თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლის დაეხმაროს პირველადს პარტორგანიზაციებს ხელმძღვანელობის ლენინური სტილის დაუფლებაში, ასწავლოს მათ მუშაობაში მიზანსწრაფულობა, მეურნეობის ეკონომიკაში ღრმად ჩაწვდომა, მასების დარაზმვის ხელოვნება.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული მის ხელმძღვანელზე. იყო კომუნისტთა მეთაური — ეს მაღალი ღირსება და ამავე დროს დიდი მოვალეობაა. კომუნისტები თვითონ წყვეტენ, თუ ვინ არის მათი მეთაურობის ღირსი. მაგრამ ამასთანავე არასწორი იქნებოდა თვითდინებისთვის მიგვენდო ამ კატეგორიის მუშაკთა შერჩევა. სწორედ აქ უნდა იგრძნობოდეს ზემდგომი ორგანოს წარმმართველი ხელი, თვითეულ ორგანიზაციაში საქმის მდგომარეობის კარგი ცოდნა.

უკანასკნელი ანგარიშგება-არჩევნების შედეგად პარტორგანიზაციების მდივნების ხარისხობრივ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ჯერ ერთი, მათი თითქმის მესამედი შეიცვალა. სოფელ უდის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს გ. საანიშვილს, სოფელ ზანავის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს ტ. ბერიძეს, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის პარტბიუროს მდივანს მ. სალუქვაძეს და სხვებს, რომლებიც კარგად მუშაობდნენ, კომუნისტებმა ნდობა გამოუცხადეს და კვლავ აირჩიეს ამ პოსტებზე.

ამჟამად რაიონის 28 პირველადს პარტორგანიზაციას სათავეში უდგანან უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, ხოლო პირველადი პარტორგანიზაციის ცხრა მდივანი წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში. ასე, მაგალითად, მოხის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი რ. ქაფიანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტია, ხოლო სოფელ ჩორჩანის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ი. ბაღდოშვილი თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეუთე კურსზე სწავლობს (დაუსწრებლად).

პარტიული ორგანიზაციების მდივნების უმრავლესობა საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონეა. ჩვენ ყოველმხრივ ვუწყობთ ხელს ამ ამხანაგებს, რომ მოეწყონ და ისწავლონ უმაღლეს სასწავლებლებში. მაგალითად, ხეუაშენის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. გოგოძე გავგზავნეთ ბაქოს პარტიულ სკოლაში. ახალარჩეული მდივნების უმრავლესობას აქვს პარტიული მუშაობის სოლიდური სტაჟი და მათ კარგ ორგანიზატორებად გამოიჩინეს თავი.

ვარტიული ცხოვრება

პირველადი ორგანიზაცია და რაიკომი

მაგრამ პარტიული ხელმძღვანელისათვის მარტო თეორიული ცოდნა როდია საჭირო. მას უნდა შეეძლოს იპოვნოს გზა ადამიანის გულისკენ, ხშირად იყოს ხალხში, ეთათბირებოდეს მასებს, არ მოერიდოს მწვავე, საჭირბოროტო საკითხებს. ხოლო ასეთ მუშაკებად როდი იბადებიან. ისინი იწრთობიან პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. რაიკომი, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელი, მოწოდებულია დაეხმაროს პარტიულ ხელმძღვანელებს ადამიანებთან მუშაობის ხელოვნების დაუფლებაში. ამ მიზნით რაიკომთან შექმნილი გვაქვს პარტიული სკოლა და რაიაქტივის სემინარი. მათს მეცადინეობებზე, თეორიულ საკითხებთან ერთად, სისტემატურად განიხილავენ პრაქტიკული ხასიათის საკითხებს, მოწინავეთა მუშაობის გამაცდილებას. ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ხშირად ვიწვევთ პარტორგანიზაციების მდივნების თათბირებს. ზოგ შემთხვევაში კი, როცა საკითხი ცალკეულ პარტორგანიზაციებს ეხება, მდივნებისათვის ვაწყობთ კონსულტაციებს, ვაძლევთ რჩევა-დარიგებასა და მითითებებს.

ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ნაკადი ფორმაა რაიკომის ბიუროზე პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ანგარიშების მოსმენა. შარშან რაიკომის ბიუროზე მოვიხმინეთ შვიდი პირველადი პარტორგანიზაციის ანგარიში. ამასთან დიდ ყურადღებას ვუთმობთ ბიუროზე განსახილველი ანგარიშების მომზადებას, რისთვისაც პარტორგანიზაციებში წინასწარ ვგზავნით რაიკომის წარმომადგენლებს.

სოფელ ბოლაჯაურის კოლმეურნეობაში შარშან ზაფხულს გაჭიანურდა საველე სამუშაოები. ადგილზე მივავლინეთ რაიკომის წარმომადგენლები: ინსტრუქტორი ვ. ანაიაშვილი და საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი ს. კაკაბაძისა. მათ საფუძვლიანად შეისწავლეს კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და პარტიული ორგანიზაციის ანგარიში რაიკომის ბიუროს განსახილველად მოამზადეს. ბიურომ განიხილა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის (მდივანი ზ. მიშველიძე) ანგარიში და ყოველმხრივ იმსჯელა შექმნილ სიძნელეთა დაძლევის გზებზე. მალე კოლმეურნეობაში საქმეს გამოსწორება დაეტყო. აქ გადამეტებით შურსულდა სიმინდის, ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმები, შეიქმნა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა.

ასეთი ანგარიშგების რეგულარული პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს არა მარტო ღრმად ჩავწვდეთ და ფართოდ განვაზოგადოთ მოწინავე პარტიული ორგანიზაციებისა და ცალკეულ პარტიულ მუშაკთა გამოცდილება, დროზე დავუჭიროთ მხარი კომუნისტთა ინიციატივას, მთლიანად გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი და ვუპარსახოთ მათი გამოსწორების გზები. არამედ სისტემატური კონტროლი გავუწიოთ და სწორი გზით წარმართოთ ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

პარტიის რაიკომი პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის დახმარებით. ეს არის როგორც ადგილზე ინსტრუქტირება, ისე პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიული კომიტეტის ბიუროს ან პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გაგზავნა, პარტიული მუშაობის გამოცდილების განხილვა სემინარებზე, თათბირებზე და სხვ.

რაიკომის მდივნები, ბიუროს წევრები, განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები ხშირად იმყოფებიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად, დახმარების აღმოსაჩენად ან რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების მოსაწყობად. მათ რაიკომის ბიუროზე განსახილველად შემოაქვთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ცალკეული საკითხები. მაგალითად. შარშან პირველადი პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად ადგილზე მისულმა რაიკომის სორგანიზაციო განყოფილების გამგემ ა. გიგოლაშვილმა სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლა და ბიუროს განსახილველად შეიტანა მოხის საბჭოთა მეურნეობის, უდის, არალის და სხვა სოფლების კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ მუშაობა და კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გაწეული მუშაობა.

პარტიის რაიკომმა შემოიღო ერთი ასეთი სიახლე: შექმნა პარტიული კომისიები და მიავლინა ისინი ადგილებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების დასახმარებლად.

ერთ-ერთმა ასეთმა კომისიამ, რომელსაც პერსონალური პენსიონერი ლ. ტყაბლაძე ხელმძღვანელობს, ლენინგორისა და სმადის ტერიტორიული და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები გამოავლინა. აქ დაბალ დონეზე იდგა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მოისუსტებდა კულტურულ-მასობრივი მუშაობა. კომისია ადგილზე დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციებს და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელებს, რასაც მალე მდგომარეობის გამოსწორება მოჰყვა.

პარტიის რაიონული კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო კადრების ეკონომიურ სწავლებას. ამ მიზნით რაიონში მოეწყო დარგობრივი ეკონომიური კონფერენციები, რომლებიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას. კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც განიხილა და დამტკიცა რაიკომის ბიურომ, რის შემდეგ ისინი დაეგზავნათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოებაში დასანერგავად.

ბოლო ხანებში პარტიის რაიკომთან შეიქმნა დარგობრივი კომისიები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ რაიკომის ბიუროს წევრები. ამ კომისიების ამოცანაა რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მდგომარეობის შესწავლა და მათი შემდგომი განვითარებისათვის სათანადო რეზერვებისა და შესაძლებლობის გამონახვა.

ყოველივე ამან საგრძნობლად აამაღლა რაიონის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და კომუნისტთა აქტივობა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სამეურნეო საქმიანობაში.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე გადამეტებით შეასრულეს ხასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საზოგადოებრივი პროგრამა. [illegible] ინიციატივის, სახელმწიფოს მუნებლობის გასული წლის [illegible] [illegible] [illegible]

მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავისათვის

სიმართლის მგზნებარე მაუწყებელი

1868 **წლის** 28 მარტს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დიდი პროლეტარული მწერლის, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დამაარსებლის, შესანიშნავი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაბადების 100 წლისთავს.

საბჭოთა ადამიანები მ. გორკის იცნობენ და უყვართ იგი არა მარტო როგორც პროლეტარიატის განდიერი მხატვარი, არამედ აგრეთვე როგორც შესანიშნავი პუბლიცისტი, რომელიც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან ეპიზოდურად ერეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მებრძოლი სიტყვით მონაწილეობდა პარტიისა და ხალხის საქმეებში, მასების ყურადღებას მიაპყრობდა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. თვითონ მან საჯაროდ თქვა 1930 წელს: **„...პირადად მე არასოდეს მიგრძვნია თავი და არცა ვგრძნობ „მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატორად“, მთელი ჩემი სიცოცხლე ვეწეოდი,— ამა თუ იმ დარგში — საზოგადოებრივ მოღვაწეობას და დღემდე არ დამიკარგავს მისდამი ლტოლვა“.**

მ. გორკი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის შესახებ სიმართლის მგზნებარე მაუწყებელი, განუწყვეტელი იბრძოდა მშრომელთა მტრების წინააღმდეგ, ყველა ჯურისა და რანგის მეშჩანობის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ყველა ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობისათვის, სოციალიზმისათვის.

მ. გორკის პუბლიცისტური, ჟურნალისტური მოღვაწეობა განსაკუთრებით გაიფურჩქნა 1928-1936 წლებში. როცა მწერალი საზღვარგარეთ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ სამშობლო ქვეყანაში დაბრუნდა. სამშობლოსაგან შორს რომ ცხოვრობდა, იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ცხოვრებას, კითხულობდა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, მიწერ-მოწერა ჰქონდა მუშებთან, გლეხებთან, მწერლებთან, ჟურნალისტებთან. სტატიებსა და წერილებში მ. გორკიმ მთელ ქვეყანას ამცნო საბჭოთა კავშირში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებანი, მრისხანენი, ზიზღით სდებდა ბრალს ბურჟუაზიას და მის წესებს.

ჯერ კიდევ სორენტოში ცხოვრების დროს მ. გორკიმ განიხილა გამოეცა სპეციალური პოპულარული ჟურნალი, მიძღვნილი სოციალიზმის ქვეყნის წარმატებებისადმი, **„რომელიც პერიოდულად გააშუქებდა ყოველივე ახალს, რაც მიღწეულია მეცნიერების, ტექნიკის, მრეწველობის მიერ, მთელ იმ მუშაობას, რაც ჩვენს ქვეყანაში სრულდება“.**

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ნაშრომებში „ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ“, „დიადი თაოსნობა“ და სხვ. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დადებითი გამოცდილება უნდა გახდეს მასების კეთილდღეობა, რომ სოციალიზმზე გადასვლის დროს მაგალითის როლს „გიგანტური მნიშვნელობა“ აქვს. ამავე იდეებს — დადებითი მაგალითის მნიშვნელობისა და ძალის შესახებ — ემყარებოდა მ. გორკიც, როცა ქმნიდა სპეციალურ ჟურნალს, რომელიც აშუქებდა ჩვენს მიღწევებს, ჩვენს დადებითს გამოცდილებას, ეწეოდა კომუნიზმის ყლორტების პროპაგანდას. ჟურნალ „ნაში დოსტიჟენიას“ გამოცემის გამო ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: **„ყოველივეს, თუნდაც ძალიან წვრილმანს, რაც კი თვითეულ სოფელსა და თვითეულ ფაბრიკაში „ახლებურად“ კეთდება, არსებითი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მასსათვის“.**

მ. გორკიმ გადაწყვიტა ახალი ჟურნალისათვის ეწოდებინა **„ნაში დოსტიჟენია“** („ჩვენი მიღწევები“). ეს სათაური ყველაზე სრულად გამოხატავდა მწერლის ძირითად ჩანაფიქრს. მას მიაჩნდა, რომ მასალები ჩვენი ქვეყნის წარმატებათა შესახებ, ხალხის გმირობის შესახებ აამაღლებენ რეგითი მუშაკების სულისკვეთებას, შესანიშნავი დოკუმენტები იქნებიან პროპაგანდისათვის, დოკუმენტები, რომლებიც ადამიანებს აღუძრავენ სიამაყის გრძნობას თავიანთი შრომის გამო და აღაფრთოვანებენ მათ ახალი საგმირო საქმეებისათვის.

ჟურნალს ხელი უნდა შეეწყო მშრომელი ხალხის თვითმეფობის ზრდისათვის, ეჩვენებინა მუშაკისათვის, თუ **„რაოდენ მნიშვნელოვანია მისი თითქოსდა წვრილმანი ყოველდღიური მუშაობა..., რომ ჩვენს ქვეყანაში აღარ არის „წვრილმანი“ საქმეები, ყველაფერი, რაც აქ კეთდება, კეთდება იმისათვის, რომ ადამიანები ყოველმხრივ, უნივერსალურად განთავისუფლებულ იქნან ყველაფრისაგან, რაც მათ უშლიდა და უშლის შიგნიდან, აგრეთვე გარედანაც იმაში, რომ იყოს თავიანთი ბედის, თავიანთი ისტორიის თავისუფალი შემოქმედნი“.** ალექსი მაქსიმეს-ძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უბრალო მშრომელთა მუშაობა ჭეშმარიტად გმირული, მაგრამ მათ თვითონ ხშირად ეს არ ესმით: **„ჩვენს სინამდვილეში,**— აღნიშნავდა მწერალი,— **დაიბადა და იზრდება ნამდვილი გმირი — მან ეს უნდა იცოდეს. მას ეს ეცოდინება, თუ წინ სარკეს დაუდგამთ; სწორედ ასეთი სარკე უნდა იყოს ჟურნალი, რომელიც რევოლუციისა და კულტურის აქტიურ მუშაკს უჩვენებდა თავის მიღწევების მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ყოფა-ცხოვრების ყველა დარგში“.**

ახალი ჟურნალის იდეამ მრავალი მომხრე მოიპოვა, იგი მოიწონეს მკითხველებმა. მ. გორკისადმი, გაზეთების რედაქციებისადმი წერილებში მუშები, გლეხები, ინტელიგენცია მხარს უჭერდნენ მწერალს. „პრავდამ“ განყოფილებაში „სადღეისო თემებზე“ 1928 წლის 26 ივლისს მოათავსა სტატია „ჟურნალ „ნაში დოსტიჟენიას“ შესახებ“, რომელიც აგებული იყო მშრომელთა წერილების მიმოხილვაზე. მკითხველები ერთსულოვნად იწონებდნენ მ. გორკის ინიციატივას, ამბობდნენ, ასეთი გამოცემის გამოშვების საჭიროება უკვე მომწიფდაო.

„ნაში დოსტიჟენია“, რომელიც 1929-1937 წლებში გამოდიოდა,— იყო პირველი პერიოდული გამოცემა, რაც მ. გორკის ინიციატივით განხორციელდა სსრ კავშირში მისი ჩამოსვლის შემდეგ.

ჟურნალ „ნაში დოსტიჟენიას“ პირველი ნომერი, რომელიც 1929 წლის იანვარში გამოვიდა, მიეძღვნა კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების მეხუთე წლისთავს. მასში მოთავსებულია მ. გორკის სტატია „პატარა“ ადამიანებზე და მათს დიად მუშაობაზე“, მისი პირველი ნარკვევი ციკლიდან „საბჭოების კავშირში“, ა. ლუნაჩარსკის სტატია „მშენებლობა“, კ. გუდოკ-ერემეევის ნარკვევი დონბასზე „ეკლიანი გზით“, ნარკვევები საბჭოთა ნავთობის მრეწველობის გიგანტზე — ბაქოზე, შატურის ელექტროსადგურზე. ტუნგუზთა განახლებულ ტომებზე და სხვ.

მ. გორკი ფართო პროპაგანდას უწევს ნარკვევის ჟანრს, აყენებს მას სოციალისტური მშენებლობის სამსახურში. დიდი პროლეტარული მწერლის ნარკვევთა მეკვიდრეობაში ყველაზე შესანიშნავია ნარკვევი „ვ. ი. ლენინი“. საბჭოთა პროზაში ამაზე უფრო მკაფიოდ და გულშიჩამწვდომად არსად არ არის გადმოცემული ვლადიმერ ილიას-ძის სახე.

საუკეთესო ნაწარმოებებს საბჭოთა სინამდვილეზე, რომლებშიც აღბეჭდილია პირველი ხუთწლედის პათოსი, ინდუსტრიული და საკოლმეურნეო მშენებლობის გმირობა, წარმოადგენენ მ. გორკის ნარკვევები „საბჭოების კავშირში“, 1929 წელს რომ ქვეყნდებოდა ჟურნალ „ნაში დოსტიჟენიაში“.

მწერლის მიერ ნარკვევების ციკლში აღძრული თემების მრავალფეროვნება შეიცავს ერთიან დიდ იდეას — საბჭოთა ქვეყნისა და მისი ადამიანების ზრდას. ნარკვევებში დამუშავებულია ერთი თემა — „ჩვენი მიღწევები“. ეს არის თავისუფალ საბჭოთა მიწაზე თავისუფალი შრომის ჰიმნი. მკითხველი ხედავს, როგორ იცვლება ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია, შეიცნობს იმ ცვლილებათა მთელ სიდიადეს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

მ. გორკის ნარკვევები — ეს არის დასაწყისი „ახალ რუსეთში“ სოციალისტური მშენებლობის შესახებ მონუმენტური ნაშრომისა, რომელიც ჩაფიქრებული ჰქონდა მწერალს. მათ ახასიათებს ღრმა ფილოსოფიური აზრი, დიდი სოციალური განზოგადებანი, მომავლის განჭვრეტა. ავტორი გამოდის არა როგორც პასიური მჭვრეტელი, არამედ როგორც მოღვაწე, როგორც აქტიური მონაწილე იმ მოვლენებისა, რომლებსაც აგვიწერს; იგი ეხმარება მკითხველს იგრძნოს შრომის პოეზია. მხატვრულად რომ წარმოგვიდგენს უბრალო შეუმჩნეველ ადამიანთა გმირობას, რომლებიც დნეპრს იმორჩილებენ, მ. გორკი მაღლდება დიდ პოლიტიკურ განზოგადოებებამდე: **„სწორედ შრომაში, და მხოლოდ შრომაში, დიდია ადამიანი, და რაც უფრო მხურვალეა მისი სიყვარული შრომისადმი, მით უფრო დიადია თვითონ იგი, მით უფრო პროდუქტიულია, უფრო ლამაზია მისი მუშაობა“.**

მ. გორკი ყველა ნარკვევში მუდამ გვევლინება როგორც ძველი სმყაროს მსაჯული და ახლის აღტაცებული მგალობელი. უხილავი სახე ჭკვიანი თანამოსაუბრე ავტორისა, რომელიც მთხრობელია, აფიუღაბის სხვადასხვა ხასიათის ჩანახატებს.

„მე მოწმე ვარ ძველის დავიწყებისა ახალთან, — შენიშნავს მ. გორკი.— **მე ჩვენებას ვიძლევი ისტორიის სამსჯავროზე მშრომელი ახალგაზრდობის, წინაშე, რომელმაც ცოტა იცის წუეულ წარსულზე და ამიტომ საკმაოდ ხშირად მეტისმეტად ცუდად აფასებს აწმყოს, და საკმაოდაც ვერ იცნობს მას“.**

ჟურნალი „ნაში დოსტიჟენია“, რომელსაც მ. გორკი რედაქტორობდა, იყო საბჭოთა ქვეყნის წარმატებათა თავისებური სარკე, რომელიც აფართოებდა მკითხველის პერსპექტივას, უჩვენებდა მას საერთო გეგმას გრანდიოზული სახელმწიფო შენობისას, რომელსაც **„ეგებს არქიტექტორი — კლასი და პარტია — კლასის ტვინი“.** მასში ბევრი აღგილი ეთმობოდა სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკას, ხუთწლედის მოწინავეთა ჩვენებას, ოდიდეს ახალშენებლობათა გამოცდილების გადმოცემას.

რედაქტორი მუდამ იბრძოდა ჟურნალის თემატიკისა და თვალთახედვის არეს გაფართოებისათვის, რომ არც ერთი საინტერესო თემისათვის გვერდი არ ეცალოს. ჟურნალში თანამშრომლობისათვის იგი იზიდავდა არა მარტო მოსკოველ მწერლებს, არამედ ავრეთვე და უმთავრესად ოლქების ნარკვევთა მწერლებს, ჟურნალისტებსა და მეშსოფლეორებს, ეროდან ისეთი შორეული მხარეებიდან, როგორიც არის ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი.

მ. გორკის პუბლიცისტიკა ჟურნალ „ნაში დოსტიჟენიაში“ ფართო და მრავალპლანიანია. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობას, დამკვრელობას უძღვნის იგი გულშიჩამწვდომ სტრიქონებს წერილში ოქროსმაძიებლებისადმი. ქალის ბორკილების დამსხვრევაზე, რეკლიგიისა და ეკლესიის ტყვეობიდან მის განთავისუფლებაზე, მძლავრ მშენებლობაში მის ჩაბმაზე ლაპარაკია სტატიაში „ქალის შესახებ“, რომელიც დაბეჭდილია ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილ ნომერში.

გრანდიოზული ინდუსტრიული და საკოლმეურნეო მშენებლობა მწერლის ალტაცებას იწვევდა. თავისი ქვეყნისათვის, თავისი ხალხისათვის სიამაყით გამსჭვალულია ყველა მისი პუბლიცისტური გამოსვლა. ოქტომბრის რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში „13 წელი“ მწერალს ახარებს ის რომ მტკიცდება საბჭოთა ხელისუფლების პოზიციები, რომ გლეხი გადაჭრით დაადგა სოციალიზმის გზას, იწყო კოლმეურნეობებში შესვლა. სტატიაში „ხიბლარბისა და ნაღლებობის შესახებ“ ლაპარაკია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობაზე, საკოლმეურნეო წყობილების წარმატებებზე, გლეხის შეგნების გარდაქმნაზე.

განაზოგადებს რა წარმატებებს, ცხადყოფს რა მათს მნიშვნელობას, პროლეტარიატის ტრიბუნი მტკიცედ ილაშქრებს ყველა ჯურის მოწოწუნეთა და ავისმდომელთა წინააღმდეგ. შინაგანი და გარეგანი მეშჩანობის წინააღმდეგ. ღირსშესანიშნავია, რომ „ნაში დოსტიჟენიას“ მეექვსე, იანისის ნომერი ჩვენი ქვეყნის წარმატებებზე პარტიის XV და XVI ყრილობებს შუა განვლილ პერიოდში. შრომითი პატაკებით, ინსნება მ. გორკის ცნობილი სტატიით „სოლეტერის შესახებ“. ეს არის ჰიმნი პარტიის პოლიტიკისადმი, რომელმაც ქვეყანა ისტორიულ წარმატებებამდე მიიყვანა, და სოლოთანა მეშჩანობისადმი, პარაზიტებისადმი.

მეშჩანობის წინააღმდეგ ბოლისწყრომით სუნთქავს პამფლეტიც „ჭკუის კოლოფებზე“, რომელიც ამათრახებს იმ ადამიანებს, ვინც ძველს ებღაუჭება და არა სურს ხედავდეს ახალს.

მ. გორკი ცდილობდა ნამდვილად მასობრივი, საინტერესო, შინაარსიანი ჟანრადა ჟურნალი, და ამიტომ გამოცემაში თანამშრომლობისათვის იზიდავდა დამკვრელებს, მუშკორებსა და სოფლკორებს. იგი იბრძოდა იმისათვის, რომ ჟურნალს სწორად ესახა გმირული სინამდვილე, არ დაეშინჯებინა და არ შეელამაზებინა იგი, სიმართლით მოეთხრო **„შრომითს ბრძოლებსა და გამარჯვებებზე“,** სოციალისტური შეჯიბრების შემდინარეობაზე, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაზე.

ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ აგრეთვე მუშკორები, სოფლკორები, ისეთები, როგორც იყო დონეცკელი მეშახტე ქ. გუდოკ-ერემეევი, დამწყები მწერლები, ჟურნალისტები.

მკითხველებს შეუყვარდათ „ნაში დოსტიჟენია“. და რედაქტორი ამაყობდა, რომ **„ჟურნალი, სინამდვილეს რომ ასახავს, ნერვებს უფუქებს პროლეტარიატის შინაურ და საზღვარგარეთელ მტრებს და ამით აჩქარებს მტრების ჩაძირვას სიკვდილის ჩრდილში“.**

ჟურნალი „ნაში დოსტიჟენია“ ისევე, როგორც გორკის სხვა ჟურნალები — „კოლოზოზნიკ“, „სსსრ ნა სტროიკე“, „ზა რუბეჟომ“, თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალი იყო. იგი გაზდა თავისებური ნარკვევთა მატიანე საბჭოთა ხალხის მიღწევებისა პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში, ასახავდა მშენებელი ადამიანის სულიერ ზრდას, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, სოციალიზმის ასაშენებლად მასების მობილიზაციაში.

2 ოქტომბერს ჟურნალ „ნაში დოსტიჟენიას“ ტრადიციები აიტაცა და შემოქმედებითად ავითვისებს საბჭოთა პრესა, გაზეთები „პრავდა“ და სხვები ათავსებენ სპეციალურ რუბრიკას, რომელიც გორკის ჟურნალის სათაურიდან მომდინარეობს. საბჭოთა პრესა, რადიო, ტელევიზია ავითვისებენ გორკის ტრადიციებს და გვიჩვენებენ, თუ რა ფრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა სამშობლომ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე. ღრმად ცხადყოფენ ჩვენი სოციალურ-ეკონომიური მიღწევების მნიშვნელობას.

**გორკის ჟურნალის მაგალითი და გამოცდილება მტკიცედ უპყრია ხელთ იარაღად მთელ საბჭოთა პრესას. შთაგონებული თხრობა ჩვენს მიღწევებზე. შრომის მერო

ა ჩვენება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა, ამ მიზნებისათვის ნარკვევის ჟანრის ფართოდ გამოყენება ჩვენი დროის გაზეთებისა და ჟურნალების მიერ — ყოველივე ეს გორკის ტრადიციების განვრცობა და განვითარებაა.**

ვ. პელტი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საერთაშორისო ცხოვრება

საკლესიო განცხადება

საბჭოთა ხალხი გულისწყრომით შეხვდა ცნობას ახალ დანაშაულობათა შესახებ, რომლებსაც ამჟამად სჩადიან სამხრეთ როდეზიის რასისტულ საყრობილეებში. სმიტის უკანონო რასისტული რეჟიმი ახორციელებს აფრიკელ პატრიოტთა, ეპარტეიდისა და რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ფიზიკური განადგურების პოლიტიკას.

ამა წლის 6 მარტს სოლსბერიში სიკვდილით დასაჯეს აფრიკელი პატრიოტები ვიქტორ მლამბო, ჯეიმს დლამინი და დიუნი შადრეკი, რომლებსაც ფაშისტურმა სამსჯავრომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. 11 მარტს სიკვდილით დასაჯეს კიდევ ზამბიაველ ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი — ფრენსის ნირიხა და ტაკაურაიე ჯერემია. როდეზიელი ჯალათები ასეთსავე ხვედრს უმზადებენ როდეზიელ პატრიოტთა ახალ ჯგუფს.

რასისტული რეჟიმის ეს დანაშაულებრივი აქტები ადამიანის ელემენტარულ უფლებათა და თავისუფლებათა შებღალვაა, ისინი უხეშად თელავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და დეკლარაციას ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეამ დაგმო სმიტის რეჟიმის რასისტული პოლიტიკა როგორც „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას. საკვდილით დასჯა და ტერორი, რასაც სამხრეთ როდეზიაში მიმართავენ, მოწმობს, რომ იქ გრძელდება სისხლიანი ბოროტმოქმედება, და ისინი, ვინც ამას სჩადის, ყოველგვარ საზიზღარ დანაშაულს კადრულობენ, ოღონდ ჩაახშონ აფრიკელ პატრიოტთა მისწრაფება რასიზმისა და კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლისადმი.

ახლა როცა ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო წელს აღნიშნავენ, როდეზიაში დაუფარავი ცინიზმით მიმართავენ რეპრესიებსა და საკვდილით დასჯას, რითაც თავიდიურად აბუჩად იგდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

თავისთავად ცხადია, რასისტები ასეთ დანაშაულებს ვერ ჩაიდენდნენ, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გავლენიანი წრეების მფარველობით რომ არ სარგებლობდნენ. საიდუმლო არ არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ სანქციათა შესახებ ძირს უთხრის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და საერთაშორისო მონოპოლიათა პოლიტიკა.

სამხრეთ როდეზიაში აფრიკელთა დანაშაულებრივი ხოცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დიდი ბრიტანეთის მთავრობასაც, რომელმაც არ განახორციელა ეფექტიანი ღონისძიებანი სმიტისა და მისი დამჭაბების წინააღმდეგ, რომლებმაც უკანონოდ ხელთ იგდეს ძალაუფლება აფრიკის ამ სახელმწიფოში, და რასისტთა ტერორის თარეშის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში გადაჭრით გმობენ როდეზიის რეჟიმის სისხლიანი ტერორის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი იმით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს, რომ მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი სამხრეთ როდეზიაში რასისტული ტერორის შეწყვეტისათვის, აფრიკელთა სიცოცხლის დასაცავად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა დაუყოვნებელივ იღონოს რაიმე ამ მიზნით. საკუთარს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირი თავის მხრივ მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

ლ. ჯონსონის წერილი კონგრესს

ვაშინგტონი, 21 მარტი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გუშინ კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავს წინადადებას შემცირდეს ამერიკის შეერთებული შტატების საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, რომელმაც შარშან 3,6 მილიარდ დოლარს მიაღწია. ჯონსონი, კერძოდ, სთხოვს კონგრესს 500 მილიონ დოლარს ამერიკის შეერთებული შტატების სექსპორტა-სამპორტო ბანკისთვის. ეს სახსრები უნდა მოხმარდეს ამერიკის ექსპორტის გაფართოებისათვის განკუთვნილი სპეციალური ფონდის შექმნას.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ლონდონი,** 21 მარტი. (საკადესი). გუშინ ლეიბორისტ პარლამენტართა ჯგუფმა მოუწოდა პრემიერ-მინისტრ გილსონს გააძლიეროს სამხრეთ როდეზიაში სმიტის რეჟიმის საწინააღმდეგო სანქციათა ეფექტიანობა.

● **ვაშინგტონი,** 21 მარტი. (საკადესი). სენატორმა რობერტ კენედიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წელიწადში 30 მილიარდ დოლარს ხარჯავს ვიეტნამის ომისათვის, მაშინ როცა ვერ გადაუჭრია თავისი საშინაო პრობლემები, ისეთი, როგორიცაა სახლნაო საკითხი.

გუშინ სენატორი კენედი გამოვიდა სენატის სახლნაო პრობლემათა ქვეკომისიაში და თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უპირველესი ყურადღება უნდა დაუთმოს ღარიბი ამერიკელების სამუშაოთი და ბინებით უზრუნველყოფის პრობლემას.

● **ტოკიო,** 21 მარტი. (საკადესი). **„ᲐᲪᲐᲮᲐᲢᲐ“ ᲬᲔᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲐᲪᲝᲜᲘᲘᲡ ᲑᲔᲭᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲕᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲚᲬᲝᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲝ ᲫᲘ-ᲓᲣᲜᲔᲡ ᲘᲓᲔᲝᲒᲘᲡ „ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ“ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲮᲐᲢᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ „ᲮᲝᲡ“-ᲘᲡ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ.

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ. ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲠᲘᲠᲑᲜᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲠᲝᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲐᲢᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲚᲘ ᲐᲘᲠᲘᲠᲑᲜᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲠᲝᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲐᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲐᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲮᲐᲢᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ „ᲮᲝᲡ“-ᲘᲡ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲢᲝᲕᲔᲑᲡ

პარიზი, 20 მარტი. (საკადესი). საერთაშორისო სავალუტო სისტემა უნდა შეიქმნას ოქროს ბაზაზე, რომელსაც ექნება „უცვლელი, მიუკერძოებელი და უნივერსალური ხასიათი“, განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა, რომელმაც დღეს სიტყვა წარმოთქვა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მას შემდეგ, რაც იქ გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობის საკითხის გამო.

საფრანგეთის აზრით, ბაზგასმით აღნიშნა დე გოლმა, უნდა შეიქმნას „ისეთი საერთაშორისო სავალუტო სისტემა, რომელიც გაამართლებს საყოველთაო ნდობას. ამავე დროს დოლარისა და გირვანქა სტერლინგის მზარდი კრიზისი ცხადყოფს, რომ ახლანდელი სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს საერეზერვო ვალუტის პრივილეგია, არა თუ უსამართლო, არამედ დღეიდან მიუღებელიც არის“.

საფრანგეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს „საერთაშორისო სავალუტო სისტემის განახლებაში“, ხაზი გაუსვა გენერალმა დე გოლმა. ამის მოლოდინში, თქვა მან, საფრანგეთი იტოვებს უფლებას თავისუფლად იმოქმედოს ყოველი იმ ცდის მიმართ, რომ გადაღონ ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 21 მარტი. (საკადესი). როგორც იორდანიის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, დღეს დილით ისრაელის ჯარებმა გადაკვეთეს იორდანიასა და ისრაელს შორის ცეცხლის შეწყვეტის ხაზი. ისრაელის ნაწილებმა, რომლებსაც ვერტმფრინავები იცავდნენ, ორ პუნქტში — დამიისა და მალიქ პუსეინის ხიდების რაიონში გადალახეს მდინარე იორდანი. იორდანიის სამხედრო სარდლობის კომუნიკეში, რომელიც ამაში გამოქვეყნდა, იუწყება რეიტერის სააგენტო, ნათქვამია, რომ ამ ბრძოლაში გამოიყენეს ყველა სახეობის მძიმე იარაღი. იორდანიის შეიარაღებულმა ძალებმა მოსპეს ისრაელის 4 ტანკი და რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი.

ტელ-ავივში, იუწყება რეიტერის სააგენტო, ისრაელის სამხედრო წარმომადგენელმა აღიარა, რომ ისრაელის ჯარებმა გადალახეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზი და გავიდნენ მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ოქროს „ᲪᲘᲔᲒ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ“-ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲗ

დაიწყო დოლარის დევალვაცია

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკადესი). **„პირველად 36 წლის მანძილზე შეეხთებულ შტატებში დაწესდა ოქროს ფასი, რომელიც აჭარბებს 35 დოლარს უნციაში“.**

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გვაცნობებს, ამერიკის კომპანიამ „ენგელჰარდ მინერალს ენდ კემიკლსმა“ სამშაბათს თავისუფალ ბაზარზე დაადგინა ოქროს ფასი უნციაში 39,50 დოლარის ოდენობით. როგორც ამ კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ოქროს მომხმარებლებმა კომპანიას მოსთხოვეს, „შექმენით საფუძველი, რათა შევძლოთ განვგრძოთ ჩვენი კომერციული გარიგებანი“.

ამავე დღეს ამერიკის სხვა კომპანიამ „მენდი ენდ ჰარმანმა“, რომელიც ოქროს ნაკეთობათა დიდი მწარმოებელია, აგრეთვე დაადგინა ოქროს ახალი ფასი უნციაში 39,50 დოლარის ოდენობით.

ამგვარად, გადაწყვეტილებანი ვაშინგტონის „კონფერენციისა, რომელიც შეეცადა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შ

ნაირ-ნაირი

შრომა დაუფასდა

აბაშა. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანია ვლადიმერ მატკავა. სხვა მოწინავე სოფლელებთან ერთად იგი ერთ-ერთი პირველი შევიდა საოფლო-სამეურნეო არტელში. წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა მშობლიური სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას.

როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, ხანდაზმულმა კოლმეურნემ კვლავ შეცვალა ფრონტზე მიმავალი თავმჯდომარე.

ახლახან ვლადიმერ მატკავას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. და აი ხუთი შვილის, 13 შვილიშვილისა და 3 შვილიშვილიშვილის ოჯახის თავკაცს მადლიერმა თანასოფლელებმა, ნათესავებმა და შთამომავლებმა საზეიმოდ გადაუხადეს დაბადების დღე.

მკითხველთა წერილებიდან

△ **ვიათურის ახალ დიდ დასახლებულ უბანში — ნაგუთში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი საბავშვო ბაღი.**

პ. აბრამიძე.

△ **ამბროლაურის** რაიონის ღადიშის კოლმეურნეობა ერთიანობს სოფლებს ზედა შავრას, ბაჯს, ტბეთსა და თვით ღადიშს. აქამდე ისინი მოკლებული იყვნენ საფოსტო მომსახურების ნორმალურ პირობებს. ამას წინათ კოლმეურნეობის ცენტრში გაიხსნა კავშირგაბმულობის განყოფილება.

აკ. კერესელიძე.

△ **ამას წინათ** ახმეტის რაიონის სოფელ მატანში აშენდა ახალი საბარიკმახერო, ზემო ალვანში გაიხსნა საფეხბურგლო-საავეჯო სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის დაზგა-დანადგარებით. მსურველებს შეუძლიათ შეუკვეთონ მასალები ბინათმშენებლობისათვის, აქვე ამზადებენ საოჯახო ინვენტარს.

ბ. ტერტერაშვილი.

△ **ზესტაფონის** რაიონის სოფელ ცხრაწყაროში მუშაობას შეუდგა რიგით მეექვსე ვეტერინარული უბანი. ვეტუბანი გარდა ცხრაწყაროსი, მოემსახურება აგრეთვე ვანლითის, კლდეეთისა და ტაბაკინის კოლმეურნეობებს.

ა. ფოცხვერაშვილი.

შეეთხოვეთა გორაკირზე

ამას წინათ სარჩერის რაიონის განყოფილების უფროსმა სილიონ შუბითიძემ, რომელიც სოფელ კორბოულში იმყოფებოდა, კოლმეურნეობის ტრაქტორისტს ზურაბ სისკაძეს სთხოვა ოპერაციაზე წასული ოპერატიული ჯგუფი სოფელ ბორიულიდან კორბოულში გადმოეყვანა, რადგან მძაფრი ქარიშხალი მათს ჩამოსვლას აფერხებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქარსა და თოვლში გზის გაკვლევა შორდა, ზ. სისკაძე და ს. შუბითიძე ტრაქტორით მიიწევდნენ წინ. გორაძირთან მიახლოებისას ტრაქტორისტმა გზის პირას, თოვლში ადამიანის ტანსაცმელი შენიშნა. მილიციის უფროსი და ტრაქტორისტი ტრაქტორიდან გადმოვიდნენ და თოვლით წაბეჭეული, ერთმანეთზე ხელებგადახვეული ორი გაყინული ქალი ნახეს. არც ერთს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

მოსაზრებულმა ადამიანებმა სასიკვდილოდ განწირული ქალები სასწრაფოდ ტრაქტორის კაბინაში აიყვანეს და პირველი დახმარება აღმოუჩინეს. სიკვდილთან კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ ქალებს სიცოცხლე დაუბრუნდათ.

საინტერესოა, რამ აიძულა გადარჩენილებს — სოფელ ხვანის მცხოვრებ თინა რიკაძესა და სოლიკო სულაბერიძეს გზას დასდგომოდნენ ასეთ უამინდობაში? თ. რიკაძე მეზობლის თანხლებით ავადმყოფი მეუღლის სანახავად მიდიოდა საჩხერის რაიონულ საავადმყოფოში. გზად კი ქარიშხალს წააწყდნენ. ზ. სისკაძემ და ს. შუბითიძემ სოფელ ხვანის მოსახლეობის მადლობა დაიმსახურეს.

ა. ანასაშვილი.

დიდი მოგება

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). **რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში სოფელ ბეუათუბნის მცხოვრებმა შოთა ელისეს-ძე ტალახაძემ წარადგინა 1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის 163290 სერიის № 23 ობლიგაცია. მან 5.000 მანეთი მოიგო.**

ატხარაზეთში გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა. მზე თანდათან უფრო მაგრად აცხუნებს, უკვე აყვავდა ნაზი ენძელა და ია. ზღვაზე კი თოლიები მომრავლდნენ. ისინი სოხუმის უურეში დამკვიდრდნენ.

ფოტო შ. ტარასოვისა.

თეატრი

სტუდენტური სპექტაკლი

ამას წინათ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე მუსკომედიის განყოფილების მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტებმა **ფ. ლოუს** ორმოქმედებიანი ოპერეტა **„ჩემი მშვენიერი ლედი“** წარმოადგინეს. (დადგმელები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები შ. მესხი და კ. სურმანი).

ოპერეტის რეჟისორში გათვალისწინებულია სტუდენტ-მსახიობთა შესაძლებლობანი, რაც უდავოდ ხელს უწყობს შემსრულებელთა პირადი აქტიორული ნიჭის გამოვლინებას.

სპექტაკლის კარჩევისას უფრო მეტად შეეჩერდებით მსახიობებზე და უწინარეს ყოვლისა ყველანაირ ლამაზ ელიზა დულიტლზე, რომელსაც IV კურსის სტუდენტი ნელი მახინიჩი ასრულებს. ლიტერატურულ წყაროშიც ელიზას როლი მთავარია. მაგრამ ერთია დაწერილი, ხოლო სულ სხვაა განსახიერებული. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ნელი მახინიჩის ელიზა სცენაზეც უმთავრეს გმირად რჩება. სახოგადოების ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენელი უბრწყინვალესი და დახვეწილი, არისტოკრატიული წრის მკვიდრი ხდება, მაგრამ ინარჩენებს სულიერ სისპეტაკეს, რომაც განსხვავდება. ბანდიანთაგან. ასეთია მოკლედ ის რთული სოციალური პროცესი, რომელიც უნდა გაიაროს ელიზამ. ფსიქოლოგიურად მრავალფეროვანი შინაგანი განცდების გადმოცემა და არა მხოლოდ გარეგნული გარდასახვა, აი რა არის ყველაზე ძნელი მისაღწევი აქტიორისათვის ამ როლში. ნელი მახინიჩი კი ამას აღწევს. გარეგნულ მომზიბლველობას, პლასტიკას თან ახლავს აზრი და ემოცია, რაც მსახიობის უდაო ნიჭზე მეტყველებს. მისი ყოველი ფრაზა, მოქმედება ამავე დროს მოაფიონა. ახალგაზრდა მსახიობმა მეტყველებას, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. საერთოდ კი მისი ნიჭი თვალსაჩინოა და ალბათ მალე მას პროფესიული თეატრის სცენაზე ვიხილავთ, როგორც მზარდ მსახიობს.

ოპერეტის მეორე მთავარი გმირია ფონტენიკის პროფესორი ჰენრი ჰიგინსი, რომელსაც IV კურსის სტუდენტი გ. ჭეიშვილი ასრულებს. მსახიობს აქვანავე იტყობა პროფესიული, ჩვეული — ტექსტის კარგი ცოდნა, უშეალობა. ეს ბიჭი ჰენრი ჰიგინსი, მართალია, შედარებით უფრო ჩვიოლებრივი ადამიანია, ვიდრე ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცი, რომელსაც ძალუძს მეტყველების მიხედვით გამოიცნოს ოცნობის დაბადების, აღზრდის ადგილი და სხვა ამგვარი დეტალები. გ. ჭეიშვილი ამ დროს უფრო მშვიდი გვეჩვენა, თითქოს აქ არაფერია საოცარი. სამაგიეროდ ახალგაზრდა მსახიობი გიულნარა ოდილო და მომხიბვლელია მუსიკალურ, ვოკალურ მომენტებში.

ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სახასიათო გმირი ოპერეტის მიხედვით არის ელიზას მამა, მენაგვე ალფრედ დულიტლი. სტუდენტურ სპექტაკლშიც იგი ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. მას ასრულებს V კურსის სტუდენტი მარლენ ქართველიშვილი. ახალგაზრდა მსახიობი თავგასუფლად გრძნობს თავს სცენაზე, კარგად მოძრაობს და ქმნის დასამახსოვრებელ სახეს, თუმცა მანაც მომავალში ღონეძიებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

განსაკუთრებული აღნიშვნა იმსახურებს მისის პირსი — IV კურსის სტუდენტი ლ. ხაჭაპურიძე. სულ მოკლედ შეიძლება დავახასიათოთ იგი — სცენაზე მისი მოქმედება არის გააზრებული. მსახიობი ემოციურია და, რაც მთავარია, ამ ემოციას იგი გამოცდილი ხელით მართავს. გზიბლავთ მისი სწორი, გამართული მეტყველება ლ. ხაჭაპურიძის მისის პირსი, ძლიერ შთამბეჭდავი და ამაყი, წმინდა პროფესიული ოსტატობით არის განსახიერებული.

სპექტაკლი „ჩემი მშვენიერი ლედი“ ახალგაზრდა მსახიობების საგოლისსმო ნამუშევარია. სპექტაკლში ჩანს ახალგაზრდების უშუალობა და ის ნიჭი, რომელიც შრომისმოყვარეობასთან ერთად მომავალში დადებითსა და სასურველ შედეგებს მოგვცემს.

ზ. რცხილაძე.

გაზაფხული ფოლვაზე

ოპერაცია ანტარქტიკაში

20 მარტს დილით სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს სადისპეტჩერო პულტმა მიიღო ანტარქტიკის ვეშაპთმჭერი ბაზის „სოვეტსკაია უკრაინის“ კაპიტან-დირექტორის ბ. მ. მორგუნის რადიოგრამა. იგი იუწყებოდა, რომ რეწვის ახალ რაიონში ფლოტილის გადასვლის დროს ამ ბაზის მთავარმა ექიმმა, ქირურგმა ნ. ი. კოლესნიჩენკომ მწვავე ტკივილები იგრძნო. მან თვითონვე დასვა დიაგნოზი — ჩაპედილი თეაქარი. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. გემზე კი სხვა ქირურგი არ იყო. ნ. ი. კოლესნიჩენკომ 11-ბალიანი შტორმის დროს თვითონ გაიკეთა ოპერაცია. მას ეხმარებოდნენ თერაპევტი, კბილის ექიმი, ოკულისტი და ბაზის სხვა სამედიცინო პერსონალი. ოპერაციამ ოთხ საათს გასტანა.

ახლა ნ. ი. კოლესნიჩენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ დამაკმაყოფილებელია. (საკდესი).

20 მარტს ლვოვში გამართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა მორიგი, მეთოთხმეტე ტირაჟი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში სკკდესის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ტირაჟში სესხის ყოველთანრიგზე თამამდება 512.560 მანეთის 9.400 მოგება. მათ შორისაა 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40-მანეთიანი მოგებანი.

ამ სესხის შემდეგი ტირაჟი 15 მაისს გაიმართება ერევანში. 1968 წელს სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის ტირაჟები მოწყობა აგრეთვე 30 ივნისს, 15 აგვისტოს, 30 სექტემბერს, 13 ნოემბერს და 30 დეკემბერს.

(საკდესის კორ.).

ყველა მიმართულებით

ზუგდიდის აეროპორტმა მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გახსნა „აეროფლოტის“ საქალაქო საგენტო. მსურველებს ბილეთები შეუძლიათ შეიძინონ ჩვენი ქვეყნის ყველა მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავებზე. საგენტო მოთავსებულია ენგურჰესის მშენებელთა სასტუმროს შენობაში.

ბ. ალშიბაია.

გამარჯვება რენში

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). ქალაქ რენში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ამხანაგურ მატჩში შეხვდა „სტად რენს“ ფეხბურთელთა გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. მასპინძელთა კარში გოლები გაიტანეს, ანიჩკინმა, სმოლნიკოვმა და სიბომ.

საკუთარი კედლის ძალა...

ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელთა გუნდი დიდი ხანი იდგა სატურნირო ცხრილის სათავეში. საკუთარ მოედანზე გამართული მთელი რიგი თამაშების შემდეგ სპარტაკელებმა ლენინგრადი დატოვეს და პირველად მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონს — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს ეწვივნენ. ბუნებრივია, სპარტაკელებს არ უნდოდათ პოზიციის დათმობა და გაბედულად მოქმედებდნენ, მაგრამ ჩემპიონმა მაინც თავისი გაიტანა — გაიმარჯვა ანგარიშით 84:72.

ლიდერობას კიევის არმიის სახელმწიფო კლუბის გუნდი ინარჩუნებს — 32 თამაშიდან 22 ქულა. ლენინგრადის „სპარტაკს“ 28 თამაშიდან 21 ქულა აქვს, თბილისის „დინამოს“ — 30 თამაშიდან 20 ქულა.

დამატებითი მატჩები

მეგრეპის ტურნირებში — თასის მფლობელთა თასისა და ჩემპიონთა თასის გათამაშებების მეოთხეფინალებში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრების გამართვა.

20 მარტს გაიმართა ორი დამატებითი მატჩი თასის მფლობელთა თასზე. იტალიის „მილანომ“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა ბელგიის „სტანდარდი“ — 2:0. და ნახევარფინალში გავიდა.

ნახევარფინალისტის გამოსავლენად დამატებით მატჩი გაიმართა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგისა“ და საფრანგეთის „ოლიმპიკის“ გუნდებს შორის. აქაც ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „ჰამბურგმა“. ორივე ბურთი გაიტანა ნაკრების წევრმა ზეელერმა.

გაიმართა ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩები. პრაღის „სპარტამ“ საკუთარ მოედანზე სძლია თასის ექვსგზის მფლობელს მადრიდის „რეალს“ 2:1, მაგრამ იგი მაინც გამოვთაშა თასისათვის მებრძოლთა რიგებს, რადგან პირველი მეოთხეფინალური მატჩი წაგებული ჰქონდა 0:3.

მესამე მატჩი ჰქონდათ ტორინოს „იუვენტუსსა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „აინტრახტს“. გაიმარჯვეს იტალიელებმა 1:0.

„ოქმეანელი“ პორტი

რატომ გააძევეს დონერი?

როდესაც ჰოლანდიელმა გროსმაისტერმა **ი. დონერმა** ვენეციის საერთაშორისო შეჯიბრავი ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა, მოსფლიოს ჩემპიონ **ტ. პეტროსიანს** მთელი ქვეყნიდან გაუსწორა, ამ ფაქტს ჰოლანდიის პრესა ამაყოფილებით შეხვდა.

ვენეციაში გამარჯვებისათვის ტურნირის ორგანიზატორებმა გროსმაისტერი დაჯილდოეს ძვირფასი საჩუქრით — „ოქროს გონდოლით“. ჩამოვიდა თუ არა ჰოლანდიაში, დონერმა მიწერეა მიილო ტელევიზიის ხელმძღვანელობა, რომ ეჩვენებინა ფილმი ვენეციის ტურნირზე. ფილმი ეჩვენა ოლიმპიადის ბანკეტზე. ბანკეტზე ოფიციალურ პირებთან ერთად ესწრებოდა ფიფერა. ფილმის ჩვენებისას ფიფერა ეუბნებოდა ოლიმპიადის ორგანიზატორებს, ეს ფილმი ეჩვენებინეთ ტელევიზიის ხელმძღვანელობისა და ფიფერა ერთ-ერთ ბანკეტზე ეჩვენებინეთ. ბანკეტზე